თვითმართველი ერთეული ბაღდათის
მუნიციპალიტეტი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები ქალაქ ბაღდათში, ვაჟაფშაველას ქ. №5-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბაღდათი

2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 2

2. ტექნიკური და სხვა მოთხოვნები….....3

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....5

5. დამატებითი ინფორმაცია..... 10

6. დანართი N2, რეკვიზიტები 11

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის **#**9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.8 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

ტექნიკური დავალება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ბაღდათში, ვაჟაფშაველას ქ. №5-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს:

- შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტზე გასვლა, მითითებულ სამუშაოებზე საკვლევაძიებო სამუშაოების ჩატარება, საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა-დაზუსტება და შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შემსყიდველისათვის მიწოდება, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით.
- შენობაში უნდა განთავსდეს გადაუდებელი პირველადი დახმარების ცენტრი და შშმ პირთათვის დღის ცენტრის მოწყობა (შესაბამისი გეგმარებით). შენობის ფართების დაყოფა მოხდება გამარჯვებული კომპანიის მიერ შემსყიდველთან კონსულტაციის გზით.
- გეგმარების დროს გასათვალისწინებელია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება.
- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმება.

წარმოდგენილი უნდა იყოს:
1. საპროექტო დოკუმენტაცია;

- გენგეგმა -1:1500
- სიტუაციური გეგმა
- 3D ვიზუალიზაცია
- არსებული შენობის გეგმა
- სართულის გეგმა
- გადახურვა
- ფასადები

- ჭრილები
- ეზოს მოწყობის გეგმა
- განათების გეგმა
- გათბობის გეგმა
- წყლისა და კანალიზაციის მოწყობის გეგმა
- უსაფრთხოების გეგმა
- ინვევტარის განლაგების გეგმა
- კარ-ფანჯრების სპეციფიკაცია
- მასალების სპეციფიკაცია
- საპროექტო სამუშაოებზე შესაბამისი ნახაზები და ესკიზები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ხარჯთაღრიცხვების ცხრილი

- ცხრილის შევსების დროს ცალ-ცალკე იქნას ხარჯთაღრიცხვის მომზადება როგორც გადაუდებელი პირველადი დახმარების, ისე დღის ცენტრისათვის,

2.**2** მომსახურეობის გაწევის ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდალური დღე.

2.3. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

2.3.1 რეკვიზიტები, დანართი **#**1–ის მიხედვით.

2.3.2 ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი ტექნიკური პირობების (დანართი 1-ის მიხედვით) შესაბამისად;

2.3.3 ინფორმაცია ანალოგიური საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების

შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მიმდინარე და ბოლო 3 წლის (2013, 2014, 2015 წწ)

განმავლობაში და ტენდერის გამოცხადებამდე 200000 ლარის ანალოგიური სირთულისა და შინაარსის მომსახურების შესრულების გამოცდილება:

#	დასახელება	შესრულების პერიოდი	ღირებულება	დამკვეთი	შენიშვნა

შენიშვნა: გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ხელშეკრულებ(ებ)ა, მიღება-ჩაბარების აქტი;

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

დავით ლიპარიშვილი 598222269

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ერთის მხრივ სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში

,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი გამგებლის ——— სახით და მეორეს მხრივ, ——————

— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის——————სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

(შემდგომში ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1`ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2`შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას

(დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 `მიმწოდებელი~ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4`ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა

გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების
საგანი
ხელშეკრულების
საგანია:

2. ქალაქ ბაღდათში, ვაჟაფშაველას ქ. №5-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდი: (71200000);

2. 2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია, SPA----------
---

სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების
წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული მომსახურეობის ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ
ხელმოწერილი მიღება- ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების
საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე
შემსყიდველის

მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება -ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფს ----------

---

---------- .

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება: ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. #9

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის ----

------- ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება –მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე

განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შე უსრულებლობისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტ ეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. სამუშაოს არაჯეროვან შესრულებაზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების

შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის

შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების

საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს ----------.

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---
ბ. ა.	ბ. ა.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: